საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე გეწაძე - კოლეგიის წევრი

ეკატერინე მაჭარაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: მიხეილ მეტრეველი

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 26.07.2023

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 068/23

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნოდარ ცალანისათვის /სიითი №2785/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნოდარ ცალანისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2023 წლის 26 ივლისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მიხეილ მეტრეველმა და მოითხოვა ადვოკატ ნოდარ ცალანისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. მიხეილ მეტრეველმა ზეპირი განმარტება წარმოადგინა 2023 წლის 31 აგვისტოს საპროცესო კოლეგიისა და 2023 წლის 11 დეკემბრის განხილვის კოლეგიის სხდომებზე, სადაც მხარი დაუჭირა წერილობით საჩივარს.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, მას ჰქონდა სამემკვიდრეო დავა, რისთვისაც მისი მოძღვარის დახმარებით დაუკავშირდა ადვოკატ ჯულიეტა ხაინდრავასა და ადვოკატ ნოდარ ცალანს. მომჩივანის განცხადებით, ის 2021 წლის 02 აგვისტოს ადვოკატ ჯულიეტა ხაინდრავასა და

ადვოკატ ნოდარ ცალანს ზეპირი ფორმით შეუთანხმდა სამოქალაქო საქმეზე სამართლებრივი დახმარების მიღებაზე. ადვოკატების ვალდებულებას წარმოადგენდა კლიენტისათვის სამივე ინსტანციის სასამართლოში წარმომადგენლობის გაწევა, რისთვისაც მიხეილ მეტრეველმა ორივე ადვოკატს 2021 წლის 02 აგვისტოს სანოტარო წესით გაუფორმა მინდობილობა N210812480. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატებმა, მასთან შეთანხმებით, სამოქალაქო სარჩელი წარადგინეს თბილისის საქალაქო სასამართლოში, ესწრებოდნენ სასამართლო პროცესებს და ახორციელებდნენ საპროცესო მოქმედებებს.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებით, არ დაკმაყოფილდა ადვოკატ ჯულიეტა ხაინდრავასა და ადვოკატ ნოდარ ცალანის მიერ მისი სახელით წარდგენილი სარჩელი, თუმცა მიუხედავად ამისა, მიხეილ მეტრეველი აპირებდა სასამართლო დავის ზემდგომ ინსტანციაში გაგრძელებასა და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრებას, რაზეც ინფორმაციას თავიდანვე ფლობდნენ ადვოკატები. საჩივრის ავტორის განცხადებით, რთული იყო ადვოკატებთან კომუნიკაცია, ისინი არ პასუხობდნენ მის სატელეფონო ზარებსა და მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს; ადვოკატებმა არ გააცნეს კლიენტს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და მიხეილ მეტრეველის ინფორმირების გარეშე დაწერეს და წარადგინეს სააპელაციო საჩივარი. მომჩივანის განმარტებით, მისი ადვოკატებისთვის ცნობილი იყო სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა. შესაბამისად, მათ, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30 დღის გასვლის შემდეგ უნდა აეთვალათ გასაჩივრების 14 დღიანი ვადა, თუმცა ადვოკატებმა გადაწყვეტილება ჩაიბარეს 30 დღიანი ვადის ამოწურვიდან მე-13 დღეს - 25.04.2023 წელს და სააპელაციო საჩივარი, ნაცვლად 26.04.2023 წლისა, წარადგინეს 08.05.2023 წელს. მომჩივანის განმარტებით, ადვოკატებს აღნიშნული გარემოებების შესახებ მისთვის ინფორმაცია არ მიუწოდებიათ და მან ფაქტი, რომ ადვოკატებმა გაუშვეს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა, მოწინააღმდეგე მხარისაგან შეიტყო.

1.4 მომჩივანის განმარტებით, სააპელაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 24 მაისის განჩინებით, გასაჩივრების ვადის დაუცველობის გამო დარჩა განუხილველი. აღნიშნული განჩინება ადვოკატებმა ჩაიბარეს 25.05.2023 წელს, რომელიც მათ ჩაბარებიდან 12 დღის განმავლობაში უნდა გაესაჩივრებინათ კერძო საჩივრით, თუმცა ადვოკატებმა არც აღნიშნული განჩინება გაასაჩივრეს და საჩივრის ავტორს მიაწოდეს ინფორმაცია, რომ საქმე იყო უპერსპექტივო და ზემდგომი ინსტანციები საქმეს აღარ განიხილავდნენ. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატების: ჯულიეტა ხაინდრავასა და ნოდარ ცალანის ქმედებების შედეგად, მან ვერ ისარგებლა სამართლიანი სასამართლოს უფლებით და მიადგა მნიშვნელოვანი ფინანსური ზიანი.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა, ნოდარ ცალანმა ეთიკის კომისიაში, 2023 წლის 11 აგვისტოს წარმოადგინა ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ მიხეილ მეტრეველის მიერ წარმოდგენილი საჩივარი არის უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი და საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს. ადვოკატმა საჩივართან

დაკავშირებით ზეპირი განმარტება წარმოადგინა 2023 წლის 31 აგვისტოს საპროცესო კოლეგიისა და 2023 წლის 11 დეკემბრის განხილვის კოლეგიის სხდომებზე.

2.2 ადვოკატ ნოდარ ცალანის განმარტებით, მას მიმართეს სურამისა და ხაშურის წმინდა ივანე ნათლისმცემლის მამათა მონასტრის სასულიერო მოღვაწეებმა და სთხოვეს სამართლებრივი დახმარება გაეწია მიხეილ მეტრეველისათვის. ადვოკატი ნოდარ ცალანი მიხეილ მეტრეველს საადვოკატო მომსახურებას უწევდა ადვოკატ ჯულიეტა ხაინდრავასთან ერთად, რომელსაც აქვს მხოლოდ სისხლის სამართლის სპეციალიზაცია, რაც თავიდანვე ცნობილი იყო კლიენტისათვის. მხარეები ზეპირი ფორმით შეთანხმდნენ, რომ ადვოკატები მიხეილ მეტრეველს საადვოკატო მომსახურებას გაუწევდნენ მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში.

2.3 ადვოკატ ნოდარ ცალანის განმარტებით, მომჩივანი ვერ უზრუნველყოფდა მტკიცებულებების წარმოდგენას, შესაბამისად, მან და ადვოკატმა ჯულიეტა ხაინდრავამ თავიდანვე განუმარტეს კლიენტს, რომ დავა იყო არაპერსპექტიული. მიუხედავად ამისა, ადვოკატებმა კლიენტის მითითებების შესაბამისად, სამოქალაქო სარჩელი წარადგინეს თბილისის საქალაქო სასამართლოში, სადაც ორივე ადვოკატი აქტიურად მონაწილეობდა საქმისწარმოებაში და კლიენტის ინტერესების შესაბამისად, ახორციელებდნენ სხვადასხვა საპროცესო მოქმედებებს. ადვოკატის განცხადებით, ის არ ეთანხმება კლიენტის შეფასებას, რომ მან სააპელაციო საჩივრის წარდგენისას გაუშვა კანონმდებლობით დადგენილი გასაჩივრების ვადა და განმარტავს, რომ სადავო საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი გამოქვეყნდა 13.03.2023 წელს. ადვოკატების მიერ სასამართლოს სააპელაციო საჩივარი წარედგინა 25.04.2023 წელს, რაც სასამართლოს ჩაბარდა 8 მაისს. ადვოკატის პოზიციით, საპროცესო ვადები დაცული იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259-ე პრიმა მუხლის შესაბამისად. ადვოკატი ასევე არ დაეთანხმა მიხეილ მეტრეველის განმარტებას, რომლის მიხედვითაც, ის ინფორმაციას არ აწვდიდა კლიენტს საქმის მიმდინარეობაზე და განმარტა, რომ ხშირად უკავშირდებოდა მიხეილ მეტრეველს ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ხოლო საპროცესო დოკუმენტებს კლიენტი მის ოფისში ეცნობოდა.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2023 წლის 07 აგვისტოს, მეოთხე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ნოდარ ცალანის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა ნოდარ ცალანმა დროულად არ მიაწოდა ინფორმაცია თავის კლიენტს იმის შესახებ, რომ მას სხვა ინსტანციებში ვეღარ წარმოადგენდა; კლიენტს არ გააცნო პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებისა და სააპელაციო საჩივრის შინაარსი; ადვოკატმა სააპელაციო საჩივარი წარადგინა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის დარღვევით და კერძო საჩივრით არ მიმართა საკასაციო სასამართლოს, შესაძლოა, ადვოკატის მიერ დარღვეული იყოს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5 (ა), 6.2, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5 და 8.6 მუხლები, რაც დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველია.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტები:

4.1 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტები, რომლებიც უდავოა მხარეთა შორის:

4.1.1 ადვოკატები ნოდარ ცალანი და ჯულიეტა ხაინდრავა, ზეპირი შეთანხმების საფუძველზე, მიხეილ მეტრეველის ინტერესებს იცავდნენ თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე სამოქალაქო დავაში (საქმე N2/8314-22).

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა ახსნა-განმარტება;
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 13.03.2023 წლის გადაწყვეტილება (საქმე N2/8314-22).

4.1.2 მიხეილ მეტრეველმა 02.08.2021 წელს ადვოკატებს: ნოდარ ცალანსა და ჯულიეტა ხაინდარავას სანოტარო წესით გაუფორმა მინდობილობა (სანოტარო აქტი N210812480), რომლის მიხედვით ადვოკატებს კლიენტის ინტერესები უნდა წარმოედგინათ საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

1. მიხეილ მეტრეველის ახსნა-განმარტება;
2. 02.08.2021 წლის მინდობილობა (სანოტარო აქტი N210812480).

4.1.3 თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 13.03.2023 წლის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა მიხეილ მეტრეველის სარჩელი, საქმეზე N2/8314-22 (მოსარჩელე - მიხეილ მეტრეველი; წარმომადგენლები: ნოდარ ცალანი და ჯულიეტა ხაინდრავა). სასამართლო სხდომას კლიენტთან ერთად ესწრებოდნენ ადვოკატები: ნოდარ ცალანი და ჯულიეტა ხაინდრავა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა ახსნა-განმარტება;
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 13.03.2023 წლის გადაწყვეტილება (საქმე N2/8314-22);
3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 24.05.2023 წლის განჩინება საქმეზე N2/8314-22.

4.1.4 ადვოკატმა ჯულიეტა ხაინდრავამ თბილისის საქალაქო სასამართლოს 13.03.2023 წლის დასაბუთებული გადაწყვეტილება საქმეზე N2/8314-22 ჩაიბარა 25.04.2023 წელს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

1. მხარეთა ახსნა-განმარტება;
2. ადვოკატ ჯულიეტა ხაინდრავას 25.04.2023 წლის ხელწერილი.

4.1.5 მიხეილ მეტრეველის სახელით, თბილისის საქალაქო სასამართლოში სააპელაციო საჩივარი წარდგენილია 08.05.2023 წელს. სააპელაციო საჩივარში მითითებულია, რომ აპელანტის წარმომადგენლები არიან ნოდარ ცალანი და ჯულიეტა ხაინდრავა, თუმცა, სააპელაციო საჩივარი ხელმოწერილია მხოლოდ ადვოკატ ნოდარ ცალანის მიერ.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

თბილისის საქალაქო სასამართლოში 08.05.2023 წელს წარდგენილი სააპელაციო საჩივარი.

4.1.6 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 24.05.2023 წლის განჩინებით, აპელანტ მიხეილ მეტრეველის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი, სააპელაციო საჩივრისათვის წარსადგენი კანონით დადგენილი საპროცესო ვადის დარღვევის გამო.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მიხეილ მეტრეველის ახსნა-განმარტება;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 24.05.2023 წლის განჩინება საქმეზე N2/8314-22.

4.2 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი სადავო ფაქტები:

4.2.1 ადვოკატმა ნოდარ ცალანმა არ მიაწოდა კლიენტს ინფორმაცია საქმის მიმდინარეობაზე, სასამართლო დავაში მისი ჩართულობის ფარგლებზე, არ გააცნო სააპელაციო საჩივრის შინაარსი და პირველი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

განხილვის კოლეგიაში წარმოდგენილი საქმის მასალებით დგინდება, რომ ადვოკატი ნოდარ ცალანი კლიენტის - მიხეილ მეტრეველის სასარგებლოდ ახორციელებდა გარკვეულ საპროცესო მოქმედებებს, მაგრამ მხარეთა შორის სადავოა, რამდენად აწვდიდა ადვოკატი კლიენტს ინფორმაციას მის მიერ განხორციელებულ სამართლებრივ მოქმედებებზე, ჯეროვნად მიაწოდა თუ არა ადვოკატმა კლიენტს ინფორმაცია მის მიერ გასაწევი საადვოკატო მომსახურების ფარგლებზე და გააცნო თუ არა ადვოკატმა კლიენტს საპროცესო დოკუმენტების შინაარსი. საჩივრის ავტორი დამატებით პრეტენზიას გამოხატავს იმის თაობაზე, რომ რთული იყო ადვოკატთან კომუნიკაცია და ადვოკატი არ პასუხობდა მის სატელეფონო ზარებს. განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ მხარემ უნდა ამტკიცოს ის გარემოება, რომლის დამტკიცებაც მისი შესაძლებლობების ფარგლებს არ სცდება. მხარეს არ შეიძლება დაეკისროს უარყოფის მტკიცების ტვირთი, რაც, ობიექტურად, მისთვის შეუძლებელია. „მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტის მიხედვით, მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, ვინც ამტკიცებს და არა მას, ვინც უარყოფს“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 27.06.2016 წლის გადაწყვეტილება, საქმე Nას-1294-1214- 2015). „კლიენტისათვის საქმეზე სრული და სწორი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების მტკიცების ტვირთი აკისრია ადვოკატს, რომელიც ამტკიცებს, რომ კლიენტს მიაწოდა ინფორმაცია და არა კლიენტს, რომელიც უარყოფს ადვოკატისაგან

ინფორმაციის მიღების ფაქტს“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის, შემდეგში - „ეთიკის კომისიის“, 20. 09. 2022 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N 066/20, 4.2.1). შესაბამისად, მას შემდეგ, რაც მიხეილ მეტრეველმა მიუთითა ადვოკატის მიერ ინფორმირებულობის ვალდებულების დარღვევის ფაქტზე, ადვოკატ ნოდარ ცალანს გაუჩნდა ვალდებულება წარმოედგინა რელევანტური მტკიცებულებები, რომ მას შესრულებული ჰქონდა კლიენტის ინფორმირების ვალდებულება. გარდა ახსნა-განმარტებისა, კლიენტის ინფორმირების ეთიკური ვალდებულების დაცვის შესახებ ადვოკატს სხვა მტკიცებულება ეთიკის კომისიაში არ წარმოუდგენია. შესაბამისად, განხილვის კოლეგია ადგენს, რომ ადვოკატს კლიენტი ინფორმირებული არ ჰყავდა საქმის მიმდინარეობის თაობაზე; ადვოკატმა ინფორმაცია არ მიაწოდა კლიენტს მის მიერ გასაწევი მომსახურების ფარგლებზე და არ გააცნო მას საპროცესო დოკუმენტების შინაარსი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა ახსნა-განმარტება;
2. 02.08.2021 წლის მინდობილობა (სანოტარო აქტი N210812480);
3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 13.03.2023 წლის გადაწყვეტილება (საქმე N2/8314-22);
4. ადვოკატ ჯულიეტა ხაინდრავას 25.04.2023 წლის ხელწერილი;
5. თბილისის საქალაქო სასამართლოში 08.05.2023 წელს წარდგენილი სააპელაციო საჩივარი;
6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 24.05.2023 წლის განჩინება საქმეზე N2/8314-22.

4.2.2 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია, რომ ადვოკატმა ნოდარ ცალანმა გაუშვა სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა, სამოქალაქო საქმეზე N2/8314-22.

განხილვის კოლეგია იზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 24.05.2023 წლის განჩინებაში (საქმე N2/8314-22) მითითებულ მსჯელობას და განმარტავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 13.03.2023 წლის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას ესწრებოდა მიხეილ მეტრევლი, ორივე ადვოკატთან: ნოდარ ცალანთან და ჯულიეტა ხაინდრავასთან ერთად. აღნიშნულ საქმეზე, ჯულიეტა ხაინდრავამ თბილისის საქალაქო სასამართლოს 13.03.2023 წლის გადაწყვეტილება ჩაიბარა 25.04.2023 წელს. მხარეს ეკისრებოდა ვალდებულება, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილება ჩაებარებინა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არაუგვიანეს 30 დღისა - 12.04.2023 წლის ჩათვლით, რაც მხარეს არ გაუკეთებია. შესაბამისად, გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღეს - 12.04.2023 წელს. გამომდინარე აქედან, სააპელაციო საჩივრის წარდგენის 14 დღიანი ვადა დაიწყო

13.04.2023 წელს და ამოიწურა 26.04.2023 წელს. დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილი საქმის მასალებით დგინდება, რომ ადვოკატმა ნოდარ ცალანმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სააპელაციო საჩივრით მიმართა 08.05.2023 წელს. ადვოკატის ქმედება - სასამართლოში სააპელაციო საჩივრის დაგვიანებით წარდგენა საფუძვლად დაედო სააპელაციო სასამართლოს განჩინებას, საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე. ადვოკატ ნოდარ ცალანს, გარდა ახსნა-განმარტებისა, ეთიკის კომისიაში არ წარმოუდგენია ისეთი მტკიცებულება, რაც კომისიას სარწმუნო მტკიცების სტანდარტით დაარწმუნებდა, რომ მან, საპროცესო ვადის დაცვით - 25.04.2023 წლის ჩათვლით მიმართა სასამართლოს სააპელაციო საჩივრით. შესაბამისად, განხილვის კოლეგიამ არ გაიზიარა ადვოკატ ნოდარ ცალანის პოზიცია, რომლის მიხედვითაც, მან სააპელაციო საჩივარი წარადგინა გასაჩივრებისათვის განსაზღვრული საპროცესო ვადის დაცვით და დაადგინა, რომ ადვოკატის მიერ სააპელაციო საჩივარი წარდგენილია სააპელაციო საჩივრის წარდგენისათვის გათვალისწინებული საპროცესო ვადის დარღვევით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მიხეილ მეტრეველის ახსნა-განმარტება;
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 13.03.2023 წლის გადაწყვეტილება (საქმე N2/8314-22);
3. ადვოკატ ჯულიეტა ხაინდრავას 25.04.2023 წლის ხელწერილი;
4. თბილისის საქალაქო სასამართლოში 08.05.2023 წელს წარდგენილი სააპელაციო საჩივარი;
5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 24.05.2023 წლის განჩინება საქმეზე N2/8314-22.

5. შემაჯამებელი დასკვნა

განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები, საქმეში არსებული მტკიცებულებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ნოდარ ცალანის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა - დარღვეულია ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლები 5(ა), 6(2), ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლები: 8.5 და 8.6.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგიის შეფასებით, ადვოკატი ნოდარ ცალანი არ აწვდიდა კლიენტს ინფორმაციას სასამართლოში საქმის მიმდინარეობაზე, ადვოკატმა არ განუმარტა კლიენტს საადვოკატო მომსახურების ფარგლები, არ მიაწოდა ინფორმაცია საპროცესო დოკუმენტების შინაარსზე; გაუშვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა და საკასაციო სასამართლოს არ მიმართა კერძო საჩივრით. შესაბამისად, მის მიერ დარღვეულია კლიენტის კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად მომსახურებისა და კლიენტის ინფორმირების ვალდებულებები:

6.1.1 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები“.

6.1.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა“.

6.1.3 ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია..“.

6.1.4 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი:,,ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წამოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ“.

6.2 ადვოკატმა საქმიანობა უნდა განახორციელოს კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად, რაც გულისხმობს კლიენტთან შეთანხმებით აღებული ვალდებულების ჯეროვან შესრულებას. ადვოკატი ვალდებულია, გამოიყენოს ყველა კანონიერი საშუალება, რათა საქმის წარმოებისას კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უზრუნველყოს კლიენტის ინტერესების დაცვა (სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის (შემდეგში - „ეთიკის კომისიის“) 20.02.2013 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმეN055/21; ეთიკის კომისიის 01.03.2023 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N076/21).

6.3 ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას საფუძვლად უდევს სამოქალაქო სამართლებრივი შეთანხმება, რაც მოიაზრებს, რომ მხარეთა ურთიერთობა იწყება და გრძელდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. შესაბამისად, ადვოკატი ვალდებულია კლიენტის საქმეზე საადვოკატო მომსახურება გაწიოს მხარეთა შორის შეთანხმებული ფარგლებისა და მოცულობის შესაბამისად. ამავდროულად, პროფესიული ეთიკის კოდექსი ადვოკატს ავალდებულებს კლიენტს ჯეროვნად და ამომწურავად მიაწოდოს ინფორმაცია მის მიერ განხორციელებულ საპროცესო მოქმედებებსა და საქმის მდგომარეობაზე, რაც კლიენტს აძლევს შესაძლებლობას სრულყოფილად ჩაერთოს თავისი საქმის განხილვის პროცესში და მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები (ეთიკის კომისიის 01.03.2023 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N076/21; ეთიკის კომისიის 27.10.2022 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N066/20).

6.4 ადვოკატის მიერ კლიენტისათვის გასაწევი საადვოკატო მომსახურების ფარგლებზე მსჯელობისას, განხილვის კოლეგიამ გაითვალისწინა შემდეგი ფაქტები: მხარეთა შორის არსებობდა ზეპირი შეთანხმება საადვოკატო მომსახურების გაწევაზე. ამ მიზნით, საჩივრის ავტორმა მოპასუხე ადვოკატს 02.08.2021 წელს გაუფორმა მინდობილობა (სანოტარო აქტი N210812480). მინდობილობაში მითითებულია, რომ ადვოკატს მინიჭებული ჰქონდა უფლებამოსილება, კლიენტის ინტერესები წარმოედგინა საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში. ამავდროულად, ადვოკატმა ნოდარ ცალანმა, მიხეილ მეტრეველის სახელით, სააპელაციო საჩივარი წარადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოში, რაც ადასტურებს

ფაქტს, რომ მხარეთა მიერ შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების ფარგლები არ მოიცავდა მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში წარმომადგენლობას. იმ გარემოების დასადასტურებლად, რომ ადვოკატი კლიენტს მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმისწარმოებაზე შეუთანხმდა, ადვოკატს გარდა განმარტებისა, სხვა მტკიცებულება ეთიკის კომისიაში არ წარმოუდგენია.

დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილი საქმის მასალებით ასევე დგინდება, რომ ადვოკატმა კლიენტის საქმეზე გაუშვა სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა, რაზეც კლიენტს არ მიაწოდა ინფორმაცია. ადვოკატ ნოდარ ცალანს ეკისრებოდა ვალდებულება, კლიენტთან შეთანხმების შესაბამისად, საპროცესო ვადების დაცვით, სააპელაციო წესით გაესაჩივრებინა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რაც ადვოკატს არ გაუკეთებია და მან კლიენტის საპროცესო ვადებზე ინფორმირების გარეშე, თბილისის საქალაქო სასამართლოში სააპელაციო საჩივარი წარადგინა გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი ვადის ამოწურვის შემდეგ, რაც ვერ შეფასდება კლიენტის ინტერესების სასარგებლო ქმედებად. ამავდროულად, ადვოკატმა ნოდარ ცალანმა კლიენტს არ მიაწოდა ინფორმაცია, რომ მან სასამართლოში სააპელაციო საჩივარი წარადგინა დაგვიანებით. შესაბამისად, ადვოკატის ქმედებით, კლიენტმა დაკარგა როგორც საპროცესო უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა, ასევე შესაძლებლობა - საკუთარ საქმეზე მიეღო ინფორმირებული გადაწყვეტილებები (სწორი ინფორმაციის საფუძველზე დაესახა სამოქმედო სტრატეგია, მათ შორის მიეღო გადაწყვეტილება საქმისწარმოებაში სხვა წარმომადგენლის ჩართვაზე).

ადვოკატმა ნოდარ ცალანმა კლიენტის სახელით განახორციელა სამართლებრივი მოქმედებები: კლიენტს გაუწია კონსულტაცია, შეიმუშავა სამოქმედო სტრატეგია, სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას და კლიენტის სახელით, საპროცესო ვადის დარღვევით წარადგინა სააპელაციო საჩივარი, თუმცა კლიენტი მიხეილ მეტრეველი არ ფლობდა ინფორმაციას ადვოკატის მიერ განხორციელებულ სამოქმედო მოქმედებებზე, საქმის მიმდინარეობაზე და ადვოკატს მისთვის ინფორმაცია არ მიუწოდებია როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების შინაარსის, ისე მის მიერ შედგენილი და თბილისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილი სააპელაციო საჩივრის შინაარსის, საპროცესო ვადების დაუცველობისა და სააპელაციო სასამართლოს განჩინების კერძო საჩივრით გაუსაჩივრებლობის შესახებ. ადვოკატმა ნოდარ ცალანმა ეთიკის კომისიაში წარმოადგინა განმარტება, სადაც მიუთითა, რომ მიხეილ მეტრეველს ხშირად უკავშირდებოდა საქმეზე ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ხოლო საპროცესო დოკუმენტების გასაცნობად კლიენტი ხშირად მიდიოდა მის ოფისში. განხილვის კოლეგიის შეფასებით, მტკიცების ტვირთის ობიექტური და სამართლიანი გადანაწილების პრინციპი კლიენტის ინფორმირებაზე მტკიცების ტვირთს აკისრებს ადვოკატ ნოდარ ცალანს და არა კლიენტს, რომელიც უარყოფს ადვოკატისაგან ინფორმაციის მიღების ფაქტს. შესაბამისად, ადვოკატ ნოდარ ცალანს ეკისრებოდა ვალდებულება, ეთიკის კომისიისათვის წარედგინა დამაჯერებელი და სარწმუნო

მტკიცებულებები, რაც კომისიას სარწმუნო მტკიცების სტანდარტით დაარწმუნებდა, რომ ადვოკატი კლიენტს საქმეზე დროულად და ჯეროვნად აწვდიდა ზუსტ ინფორმაციას, რაც ადვოკატს არ გაუკეთებია.

6.5 შესაბამისად, განხილვის კოლეგია, სარწმუნო მტკიცების სტანდარტით ადგენს, რომ ადვოკატ ნოდარ ცალანის მხრიდან ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა და დარღვეულია კლიენტის კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად წარმომადგენლობისა და კლიენტის ინფორმირების ვალდებულებები („ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 5 (ა), 6.2, ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.5 და 8.6), რის გამოც მას უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

6.6 ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 2(5) მუხლი უთითებს, რომ ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი.

6.7 „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი - კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის ჩადენილი გადაცდომის სიმძიმის და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება" (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე Nდს-შ/3-15, 01.04.2015).

6.8 „სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია" (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე Nდს-შ/3-17, 22.05.2017).

6.9 დისციპლინური სახდელის ფორმის განსაზღვრისას, განხილვის კოლეგია ითვალისწინებს, რომ ადვოკატს არ აქვს დადებული რაიმე სახის გაუქარწყლებელი სახდელი, გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისთვის, თუმცა საქმეშია ადვოკატის მიერ ჩადენილი ერთზე მეტი დისციპლინური გადაცდომა. ამასთანავე, განხილვის კოლეგია ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, ფაქტს, რომ ადვოკატის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების საპროცესო ვადის გაშვების გამო, საჩივრის ავტორმა ვერ ისარგებლა სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებით; ადვოკატის პირად დამოკიდებულებასა და პოზიციას, რომლის მიხედვითაც მან ვადების დაცვით აწარმოა საქმე და არ გამოუხატავს სინანული კლიენტის საქმეზე, თუმცა, ადვოკატს ჰქონდა დისციპლინური წარმოების პროცესში ქცევის ცვლილებისა და კლიენტთან კომუნიკაციის აღდგენის შესაძლებლობა. განხილვის კოლეგიის შეფასებით, ამ პირობებში, კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვით ვერ იქნება მიღწეული დისციპლინირების მიზანი და დადგენილი

დარღვევების შინაარსიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიის პრაქტიკის გათვალისწინებით, ადვოკატის მიმართ პროპორციული პასუხისმგებლობის ღონისძიება იქნება - გაფრთხილება.

6.10 კომისიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34.1(ა) მუხლით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 33-ე, 35– ე მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №068/23 დადგინდეს ადვოკატ ნოდარ ცალანის მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.
2. ადვოკატ ნოდარ ცალანის მიმართ /სიითი №2785/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.
3. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
4. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში საჩივრის წარდგენის გზით.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე მაჭარაშვილი/